



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აუდიტის ფარგლებში გატარებული ჩაკომენდაციების შესრულების
მდგომარეობა

2025

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ჩაკომენდაციები



- ▶ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას, აგრეთვე საჯარო მმართველობის ძირითადი პრინციპების – გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების განმტკიცებას
- ▶ აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობით განსაკუთრებულ როლს ასრულებს პარლამენტის მიერ საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობის პროცესში
- ▶ სამსახური ავლენს საჯარო მმართველობის სფეროში არსებულ სისტემური ხასიათის ხარვეზებს და მათ აღმოსაფხვრელად გასცემს რეკომენდაციებს
- ▶ რეკომენდაციები აუდიტის სამსახურის ძირითადი პროდუქტია, რომელთა შესრულებით მატერიალიზდება სამსახურის მიერ მოტანილი სარგებელი
- ▶ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები ხელს უწყობს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას და მომავალში მათ პრევენციას
- ▶ რეკომენდაციების შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესში სამსახური ხელმძღვანელობს უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებით (ISSAIs), საერთაშორისო კარგი პრაქტიკითა და გამოცდილებით

ჩეკოვანდაცოიის ჟესრუდოის მონიტოინგი

- ▶ სახელმწიფო აუდიტის სამსახური მუდმივად ახორციელებს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგები აისახება სამსახურის წლიური საქმიანობის ანგარიშში და მიენოდება პარლამენტს
- ▶ რეკომენდაციების მონიტორინგის მიზანია მათი დროული შესრულების უზრუნველყოფა
- ▶ რეკომენდაციების შესრულების სტატუსი განისაზღვრება საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე
- ▶ სამსახური აანალიზებს მიღებულ დოკუმენტაციას და რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობას რეკომენდაციის გაცემის ეტაპზე უწყების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებთან და ვადებთან მიმართებით
- ▶ მიღებული შედეგების მიხედვით რეკომენდაციას ენიჭება შესრულების სტატუსი
- ▶ თუ უკვე დადგა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადა, რეკომენდაციას ენიჭება *შესრულებულის, ნაწილობრივ შესრულებულის ან შეუსრულებლის* სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეკომენდაციას ენიჭება *მიმდინარეს* სტატუსი

ჩაქოქენდაჭიების შესრულების მონიტორინგის შედეგები


- ▶ 2020-2025 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა 3,000-ზე მეტი რეკომენდაცია, რომელთა 20% გაიცა 2024 წელს ჩატარებულ აუდიტებში
- ▶ ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე გაიცა რეკომენდაციების 41%
- ▶ რეკომენდაციების 51% გაცემულია შესაბამისობის აუდიტებში, რაც განპირობებულია იმით, რომ სამსახური ყველაზე დიდი რაოდენობით აღნიშნული ტიპის აუდიტს ატარებს




ჩაკონკრეტებული უსრულების მონიტორინგის შედეგები

- ▶ 2020-2025 წლებში გაცემული რეკომენდაციებიდან სრულად შესრულებულია 46%,* ნაწილობრივ შესრულებულია - 28%, შეუსრულებელია - 9%
- ▶ რეკომენდაციების 17% მიმდინარეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ რეკომენდაციების შესრულებაზე სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადა ჯერ არ დამდგარა

რეკომენდაციების შესრულების
მდგომარეობა (2020-2025 წწ.)



რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა წლების
მიხედვით




* რეკომენდაციების შესრულების სტატუსები წარმოდგენილია 2025 წლის ივნისის მდგომარეობით

ჩაპოქენაქიას ზესრუდების მონიტორინგის შედეგები

- ▶ შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ფინანსური აუდიტის რეკომენდაციები - 56%, ყველა დაბალი მაჩვენებლით კი ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციები - 25%
- ▶ ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი კომპლექსურია, რომელთა შესრულება მეტ ძალისხმევასა და რესურსს მოითხოვს უწყების მხრიდან

რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა აუდიტის სახეობების მიხედვით




ჩაკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შედეგები

- ▶ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები იყოფა ორ კატეგორიად: სტანდარტული და მნიშვნელოვანი
- ▶ მნიშვნელოვანია რეკომენდაციები, რომელთაც შესაძლოა დიდი ზეგავლენა ჰქონდეს საჯარო სექტორში მიმდინარე პროცესებსა და სახელმწიფო ბიუჯეტზე. ასეთი რეკომენდაციების შესრულებით შესაძლებელია:
 - დიდი მოცულობის საბიუჯეტო რესურსის დაზოგვა ან/და მათი არამიზნობრივი განკარგვის თავიდან აცილება
 - კორუფციისა და თაღლითობის რისკის შემცირება
 - სახელმწიფო ქონების მიზნობრივი/ეფექტიანი გამოყენების გაუმჯობესება
 - საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება
 - სახელმწიფო პროგრამების მართვის გაუმჯობესება
 - შემოსავლების დაკარგვის თავიდან აცილება და სხვ.
- ▶ სტანდარტულია რეკომენდაცია, რომელთა შესრულებას არ აქვს მაღალი ფინანსური შედეგი და არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას შესაბამისი უწყების მხრიდან


ჩაპოქენდაციაბის ზესრუდაბის მონიტორინგის ზედებები

- ▶ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2020-2025 წლებში გაცემული რეკომენდაციების 44% მნიშვნელოვანია
- ▶ 2021-2022 წლებში აუდიტის სამსახურმა მუნიციპალურ დონეზე ჩაატარა 1 უწყებათაშორისი შესაბამისობის და 2 ეფექტიანობის აუდიტი, რომელთა ფარგლებშიც დაიფარა 64 მუნიციპალიტეტი. აღნიშნულმა განაპირობა მოცემულ წლებში მნიშვნელოვანი რეკომენდაციების მკვეთრი ზრდა

რეკომენდაციების განაწილება
პრიორიტეტულობის მიხედვით




რეკომენდაციები პრიორიტეტულობის მიხედვით წლების
ჭრილობაში




ჩაკონკრეტებული შესრულების მონიტორინგის შედეგები

- ▶ მნიშვნელოვანი კატეგორიის რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 52%-ია
- ▶ მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულება საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან მეტ ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა მათი შესრულებით მოტანილი სარგებელი/ეფექტი გაცილებით მაღალია
- ▶ ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტებში გაცემული რეკომენდაციები ძირითადად სტანდარტულია, თუმცა ისინი მიემართება საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობას და შესაბამისად, სისტემურ ხასიათს ატარებს. ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციების 43% კი მნიშვნელოვანია


მნიშვნელოვანი
რეკომენდაციების შესრულება



სტანდარტული
რეკომენდაციების შესრულება



რეკომენდაციები პრიორიტეტულობის
მიხედვით აუდიტის სახეობების ჭრილში




■ შესრულებული ■ ნაწილობრივ შესრულებული ■ მიმდინარე ■ შეუსრულებელი

■ მნიშვნელოვანი ■ სტანდარტული


ჩაკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შედეგები

- რეკომენდაციები, გამოვლენილი ნაკლოვანების შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაჯგუფდეს 5 მიმართულებით: აქტივების მართვა; შესყიდვების მართვა; საბიუჯეტო რესურსების მართვა; ორგანიზაციული და პერსონალის მართვა; აღრიცხვა-ანგარიშგება
- რეკომენდაციების 30% მიემართება ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ ხარვეზებს
- შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს აღრიცხვა-ანგარიშგებისა და შესყიდვების მართვის კუთხით გაცემულ რეკომენდაციებს – 57%

რეკომენდაციების განაწილება
მიგნების ტიპის მიხედვით




რეკომენდაციების შესრულება მიგნების ტიპის მიხედვით



ჩეკოვანდაცოიბის ჟესრუდაბის მონიტორინგის ჟედაბეაბი

- რეკომენდაციეების ანალიზის ჟედეგად გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც სისტემურ ხასიათს ატარებს და მეორდება მრავალ საბიუჯეტო ორგანიზაციაში

2020-2025 წლებში გაცემული რეკომენდაციეების განაწილება სისტემური ხასიათის მიმართულებეების მიხედვით



მადლობა ყუჩადღებვისთვის

www.sao.ge